

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 54

ქ.თბილისი

2021 წლის 21 ივნისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 21 ივნისს, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ზ. შავგულიძის ოქმი და მოწოდებული ინფორმაცია, მატჩის მთავარი მსაჯის ჯ. ხელაძის საითინგი, ამა წლის 10 ივნისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, ფოთის „კოლხი რაინდები“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელი ირაკლი სასანია - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.2 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელი ირაკლი სასანია დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
3. კლუბის მიერ ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში არ გადახდის შემთხვევაში, ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.2 პუნქტი და ფოთის „კოლხ რაინდებს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 3(სამი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/